ახალი ხარაგაული

406 (14) 7 ოქტომბერი, 2019 წ.

ადგილობრივი და სამთავრობო ხელისუფლების წარმომადგენლები მოსახლეობას ხვდებიან

სამთავრობო გუნდის მოსახლეობასთან შეხვედრების პროცესი იმერეთის რეგიონში აქტიურ ფაზაშია. ამჯერად იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ბესიკ გოფოძე, ბაღდათი–ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი, მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე, საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები სამი დღის განმავლობაში ბაზალეთის, საბის, სარგვეშის, ღორეშის, უბისის, ჩხერის, მარელისის, ქვების, ვახანის, ლეღვნის, საღანძილის, ვანისა და სხლითის მოსახლეობას შეხვდნენ. აღნიშნული შეხვედრების მიზანი მოსახლეობის პრობლემების ადგილზე გაცნობაა, რომელთა გათვალისწინება მაქსიმალურად მოხდება მომავალი წლის ბიუჯეტში.

ადგილზე რამდენიმე პრობლემური საკითხი გამოიკვეთა: ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, წყლის პრობლემა, შეშის მოპოვება და სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭების საკითხი.

ბესიკ გოფოძის განმარტებით, გზების მოწესრიგება მთელს რეგიონში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს და 2020

წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული სოფლებამდე მისასვლელი და ასევე, შიდა საუბნო გზების მოწესრიგებაც. სოციალური დახმარების საკითხზე, ხელისუფლების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პრობლემაზე მუშაობს საქართველოს პარლამენტი და მომავალში აღნიშნული სტატუსის მინიჭების სისტემაში სოფლის რწმუნებული და ადგილობრივი ხელისუფლება ჩაერთვებიან.

რაც შეეხება ხე-ტყის მოპოვებას, ადგილზე იმყოფებოდა სატყეო სამსახურის წარმომადგენელი გიორგი ნიკოლეიშვილი, რომელმაც მოსახლეობის მიერ დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხები გასცა.

შეხვედრებზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სახელმწიფო და მუნიციპალურ პროგრამებს ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის, სოციალური დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით.

განათლების სფეროში განხორციელებული ყველა მნიშვნელოვანი სიახლის შესახებ ისაუბრა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, გიორგი ვაშაკიძემ. იგი სოფლის სკოლების საჭიროებებით დაინტერესდა და პედაგოგების სახელფასო ზრდაზეც გაამახვილა ყურადღება.

შეგახსენებთ, რომ მსგავსი ტიპის შეხვედრები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშიც გაიმართება.

ბიძინა ივანიშვილი იმერეთის ადგილობრივი საოლქო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შეხვდა

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი იმერეთის ადგილობრივი საოლქო ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და წარმომადგენლებს შეხვდა. სამუშაო შეხვედრაზე რეგიონში არსებულ გამოწვევებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

შეხვედრას პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე, პარლამენტის წევრები, რეგიონულ საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველი სოზარ სუბარი, იმერეთის სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები და პარტიის აქტივის წევრები ესწრებოდნენ. მათ შორის იყვნენ ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი, მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე და საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე.

შეხვედრები პარტიის რეგიონული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან მომავალშიც გაგრძელდება.

გედსამანიაში სასკოლო მზაობის ჯგუფი გაიხსნა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ გედსამანიაში სასკოლო მზაობის ჯგუფი გაიხსნა. გახსნის ცერემონიალს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თემურ ჩხეიძე, საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე და ბაღების გაერთიანების დირექტორი მამუკა ჭიპაშვილი ესწრებოდნენ.

გედსამანიაში საბავშვო ბაღი არასდროს ყოფილა. სოფელში მზარდი კონტინგენტის გამო გაჩნდა მოთხოვნა, ალტერნატიული საბავშვო ბაღი გახსნილიყო. სასკოლო მზაობის ჯგუფს საჯარო სკოლის შენობაში

ერთი ოთახი დაეთმო და ადგილობრივი დასაქმდა.

აღსანიშნავია, რომ ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების მიერ მოხდა ოთახის გარემონტება და საჭირო ინვენტარის შეტანა. ჯგუფში 12 აღსაზრდელი ჩაირიცხა და ისინი სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტების შესაბამის პროგრამას შეისწავლიან.

სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატმა ლენა აბაშიძემ აღსაზრდელებს, მშობლებსა და პედაგოგებს სკოლამდელი მზაობის ჯგუფის გახსნა მიულოცა და დაჰპირდა, რომ სამომავლოდ, თუკი ბავშვთა კონტინგენტი იქნება, გედსამანიაში ბაღი აუცილებლად აშენდება. მისივე თქმით, სკოლამდელი მზაობის ჯგუფის გახსნა ხელს შეუწყობს აქ ახალგაზრდა ოჯახების დამაგრებასა და სოფლის გაძლიერებას.

ბაღების გაერთიანების დირექტორის, მამუკა ჭიპაშვილის, ინფორმაციით, ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტში სასკოლო მზაობის სამი ჯგუფი ფუნქციონირებს.

ნაჩაბაულში „მასწავლებლის საერთაშორისო დღე“ აღინიშნა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის, საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და სპმთპ-ის ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის ინიციატივით, ,,მასწავლებლის საერთაშორისო დღე„ აღინიშნა. ღონისძიებაზე ადგილობრივი ხელისუფლებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტის სკოლებიდან თითო წარმატებული პედაგოგი სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოეს. ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის, კობა ლურსმანაშვილის, ბიუროს (ხელმძღვანელი, ჟანა ნემსაძე) სახელით ასევე ფასიანი საჩუქარი გადაეცა ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის მათემატიკის წარმატებულ პედაგოგს, ქალბატონ ალექსანდრა ჭიპაშვილს.

საღამო გაალამაზეს შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლის აღსაზრდელებმა, კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულმა ვაჟთა ვოკალურმა ჯგუფმა ,,ხარაგაულის ხმებმა“. სპეციალურად ამ დღისათვის შესრულდა მუსიკალური ნომრები.

ღონისძიების ფინანსური მხარდამჭერი, მერიის კულტურის სამსახურია.

პროფესიული დღე მოწვეულ პედაგოგებს მიულოცეს: საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა მარინე ვეფხვაძემ, მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა ირინე ჩხეიძემ, საკრებულოს დეპუტატებმა: დავით კიკნაძემ, ვალერი ჭიპაშვილმა, სპმთპ-ის ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ლალი ვაქერ-სებისკვერაძემ. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მასწავლებლობა ერთ - ერთი ყველაზე რთული და საპატიო პროფესიაა.

მასწავლებელთა საერთაშორისო დღეს ყოველწლიურად მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყანა ზეიმობს.

საამაყოა, რომ ხარაგაულის პედაგოგიურ საზოგადოებას ჰყავს ორი მენტორი მასწავლებელი-ნინო გურეშიძე და ირმა ყრუაშვილი.

გაგრძელება ▶ 3 გვ.

სარგვეშში საბავშვო ბაღი გაიხსნა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ სარგვეშში რიგით მეთვრამეტე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება გაიხსნა. ახალი საბავშვო ბაღი ხარაგაულის მერის მოადგილემ, თემურ ჩხეიძემ, ბაღების გაერთიანების დირექტორთან, მამუკა ჭიპაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გახსნა.

სარგვეშში საბავშვო ბაღი არასდროს ყოფილა. სოფელში არსებული კონტინგენტიდან გამომდინარე, მოსახლეობამ არაერთხელ დააყენა ბაღის აუცილებლობის საკითხი. ორი წლის წინ ხარაგაულის მერის, ნიკოლოზ თოფურიძის, დაპირება სარგვეშის მცხოვრებლებთან შეხვედრის დროს, უკვე რეალობად იქცა.

პირველ ეტაპზე, ერთი წლის წინ, სოფელში სკოლამდელი მზაობის ჯგუფმა დაიწყო ფუნქციონირება, რომელშიც ძალიან დიდი წვლილი შეიტანა სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატმა და ხარაგაულის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რუსუდან გიორგაძემ.

ახლა კი, ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერითა სოფელს უკვე აქვს 15 აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღი, სადაც ხუთი ადგილობრივი დასაქმდა.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

მერის სარეზერვო ფონდიდან მხატვრიშვილებს სახლს შეუძენენ

სოფელ ვახანში, მხატვრიშვილების მრავალშვილიან ოჯახს, რომელსაც ხანძრის შედეგად სახლი დაეწვა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე ესტუმრა.

მერის ინფორმაციით, სარეზერვო ფონდიდან დაზარალებული ოჯახისათვის ახალ სახლს შეიძენენ. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ალტერნატიული ფართის მოძიების პროცესი, რომელშიც ოჯახის წევრები უშუალოდ არიან ჩართული.

დაზარალებულებს ხარაგაულის მერიის მიერ ორგანიზებული სოციალური აქციის ფარგლებში შეგროვებული ნივთებიც გადაეცათ.

აღსანიშნავია, რომ საქველმოქმედო აქციაში უპრეცენდენტო მხარდაჭერა გამოხატა ხარაგაულის მოსახლეობამ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, მანანა ბარბაქაძემ. გარდა ამისა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა ოჯახს ფინანსური დახმარება გაუწია.

აკადემიკოს გიორგი გაგოშიძესთან შეხვედრა მოეწყო

ხარაგაულის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში პროექტით „შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან“ ხარაგაულის საზოგადოებას სტუმრობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი გიორგი გაგოშიძე.

აკადემიკოსი დამსწრე საზოგადოებას დაწვრილებით ესაუბრა სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ამ სფეროში ბოლო დროს განხორციელებული პროექტებისა და პროგრამების შესახებ. მიმოიხილა საკითხი ტყით სარგებლობისა და ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ტყის დიდი მნიშვნელობის შესახებ, დეტალურად შეეხო მცენარეთა დაცვისა და ეკოლოგიური საფრთხეების პრობლემებს.

გიორგი გაგოშიძემ შეხვედრაზე გაგვაცნო პირადი ინიციატივა, რომლის შესახებაც უკვე მიმართა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, ნიკოლოზ თოფურიძეს, რომ მერიის დახმარებით შეიქმნას საკონსულტაციო საბჭო, რომლის ფარგლებშიც სრულიად უსასყიდლოდ, სამ თვეში ერთხელ ეწვევა ხარაგაულში სოფლის მეურნეობით დაინტერესებულ პირებს და, ამ სფეროს შემდგომი განვითარებისათვის, კონსულტაციებს გამართავს მათთან.

აკადემიკოსი გიორგი გაგოშიძე ძალიან გაახარა იმ ფაქტმა, რომ მასპინძელთა შორის მრავლად იყვნენ მისი აღზრდილები, ახლანდელი სტუდენტები, მისი ოჯახის ახლო ნათესავები.

ლალი ხარაზიშვილი - პედაგოგი, ახლო ნათესავი:

- მეამაყება, რომ ისეთი სწავლული პიროვნება, როგორიც გიორგი გაგოშიძეა, ჩვენი ოჯახის (დედამთილის მხრიდან) ახლობელია. ჩემი შვილები და შვილიშვილები კარგა ხანია, ურთიერთობენ მასთან, მე კი დღეს მომეცა საშუალება, მას და მისი ოჯახის წევრებს პირადად შევხვედროდი. მისმა საუბარმა კიდევ უფრო გამიძლიერა ინტერესი სოფლის მეურნეობის საკითხებში საფუძვლიანი წვდომისა. მადლობა მას და მასთან შეხვედრის ორგანიზატორებს.

საშიკო ხიჯაკაძე - აკადემიკოს გიორგი გაგოშიძის სტუდენტი:

-ძალიან დიდი ბედნიერებაა, როცა ისეთი გულისხმიერი ლექტორის ლექციებს ისმენ, როგორიც გიორგი გაგოშიძეა. მისგან მარტოოდენ სოფლის მეურნეობის საკითხებს როდი ეუფლება სტუდენტი; მასთან ურთიერთობით გიძლიერდება მოტივაცია სწავლისადმი და ცდილობ, ხვალ კიდევ უფრო უკეთესი გახდე, ვიდრე ხარ დღეს...

მეათე კლასის მოსწავლე ნინო შალამბერიძე დაინტერესდა, თუ როგორ მიაღწია ბატონმა გიორგიმ ესოდენ დიდ წარმატებას მეცნიერებაში, როგორ მოიგონებდა იგი თავისი მოსწავლეობის პერიოდს, რომლებზეც მან ძალზე საყურადღებო რჩევა-დარიგებები მიიღო აკადემიკოსისაგან.

შეხვედრის დასასრულს, გიორგი გაგოშიძეს მადლობა გადაუხადა მობრძანებისათვის პროექტის ავტორმა, კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა ნიკოლოზ მაჭავარიანმა და მას სამახსოვრო საჩუქარი გადასცა ცენტრალური ბიბლიოთეკის სახელით.

ეკა შავიძე

„მიყვარხარ, ადამიანო!“

მიმართვის ეს უმშვენიერესი ფორმა სავიზიტო ბარათია პროექტისა, რომლის ავტორებსაც იმ უკიდეგანო სივრცეებისაკენ მიჰყავს მკითხველი, რომლის უმთავრესი აზრი სიყვარულის ზეიმია. სიყვარული კი, ეს მრავალწახნაგოვანი, მრავალგანზომილებიანი ცნება, ყოველივე ღირებულის, ყოველგვარი სიკეთის მასაზრდოებელი და შთამაგონებელია.

ულამაზესი ბუნებითა და მაღალი ინტელექტუალური პოტენციალით გამორჩეული ხარაგაული და ხარაგაულელები მასპინძლობდნენ 23 სექტემბერს ინოვაციების ცენტრის კოპწია დარბაზში პროექტის ავტორებს - პოეტებსა და პროზაიკოსებს: ჯუბა ღებელს, ბელა ალანიას, მაია ხოფერიას, თემურ ცერცვაძეს.

მსმენელთ სტუმრები წარუდგინა და აღნიშნული პროექტის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა ნიკოლოზ მაჭავარიანმა.

სულ სხვა დატვირთვა აქვს და მსმენელს სხვაგვარი ემოცია აღეძვრის, როცა თვითონ ავტორი კითხულობს თავის ნაწარმოებს. ჩვენმა სტუმრებმა კი გულუხვად გვაზიარეს ამ სიამოვნებას. მათ ისეთი ემოციებით დაგვტვირთეს, რომ თითქმის სამ საათს ვიმყოფებოდით მხატვრული სიტყვის ტყვეობაში, მაგრამ დაღლა არავის უგრძნია, რადგან დარბაზში ნამდვილად ბრიალებდა ადამიანის სიყვარულის დიდი კოცონი...

ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დირექტორმა იზა ვეფხვაძემ აღნიშნა: -განსაკუთრებულია ის ღრმა ინტერესი, რასაც ხარაგაულის წიგნიერი საზოგადოება იჩენს ჭეშმარიტი პოეზიისა და პროზის მიმართ. მსმენელებით სავსე დარბაზიც დღეს ამის ნათელყოფაა.

შემდეგ ქალბატონმა იზამ ჩვეული დეკლამაციური ოსტატობით შთამბეჭდავად წაიკითხა პროექტის ავტორთა თემატურად მეტად საინტერესო ლექსები.

აქვე გარკვეული სიამაყით დავსძენთ, რომ ხარაგაული ადამიანის სიყვარულით ანებივრებს სრულიად საქართველოს, როცა ქალბატონი იზა ვეფხვაძე ყოველ დილით ინტერნეტსივრცეში ყველას ესალმება ღვთიური სიტყვებით - მე თქვენ მიყვარხართ!

შეხვედრის დასასრულს, პროექტის ავტორებმა საკუთარი წიგნები საჩუქრად გადასცეს ცენტრალურ ბიბლიოთეკას.

კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა ნიკოლოზ მაჭავარიანმა შემოქმედებითი წინსვლა უსურვა სტუმრებს და ცენტრალური ბიბლიოთეკის სახელით სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

პირადად მე, ამ წერილის ავტორი, ხარაგაულელ მკითხველთა სახელით გეფერებით და მადლობას გიხდით თქვენ, მშვენიერი პროექტის ავტორებო!

მინდა, შეგახსენოთ ლექსის სტრიქონი ავბედით დროში „ხალხის მტრად“ შერაცხული პოეტის, პაოლო იაშვილისა, პოეტისა, რომელსაც საკუთარ სიცოცხლეზე მეტად უყვარდა ადამიანი, ქართული ლექსი და ქართული სიტყვა:

„გაგიჟება სჯობს, თუ გათავდა სიტყვის მადანი!..“

მწამს, თითოეული თქვენგანის ნიჭიერება და შემოქმედების ის კომპასი, რასაც სიყვარული ჰქვია, კვლავ აღმოგაჩენინებთ ქართული პოეტური სიტყვის ჯერაც მიუგნებელ საბადოს, რომლითაც კიდევ უფრო მცხუნვარე სხივებით გაათბობთ მკითხველთა გულებს და ყველას დაარწმუნებთ, რომ არაფერია ადამიანის სიყვარულზე უფრო დიადი, უფრო კეთილშობილური გრძნობა...

უფალი გფარავდეთ!

მერი გიორგიძე

ხარაგაულში პროფესიული განათლების ცენტრის გახსნა იგეგმება

ხარაგაულის კინოთეატრში საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების ცენტრის გახსნის შესახებ იმსჯელეს. შეხვედრას საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მარინე ვეფხვაძე, საკრებულოს განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დავით კიკნაძე, მერის წარმომადგენლები, საჯარო სკოლის დირექტორები, მოსწავლეები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

ცენტრის დამფუძნებელმა გარი ჩაფიძემ, ვრცლად ისაუბრა პროფესიული განათლების ცენტრების შესახებ და აუდიტორიის მხრიდან დასმულ კითხვებსაც ამომწურავი პასუხები გასცა. მისივე განმარტებით, ის მზადაა, ხარაგაულში პროფესიული განათლების ცენტრმა დაიწყოს ფუნქციონირება და ხელი შეუწყოს მომავალი თაობის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას, ასევე მათ დასაქმებას.

,,ჩვენს სასწავლო ცენტრებში სტუდენტთა სოლიდური ნაკადი გვყავს, სადაც შესაძლებელია თანხების ეტაპობრივად გადახდა. ასევე 30-50-70 და 100-პროცენტიანი გრანტები; უფრო მეტიც, პირველი კურსის წარჩინებით

დახურვის შემთხვევაში, სტუდენტი არა მარტო გათავისუფლდება გადასახადისგან, არამედ სასწავლო სტიპენდიასაც მიიღებს. საყურადღებოა, რომ შეღავათებით სარგებლობენ ლტოლვილები, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლი ოჯახის წევრები და მრავალშვილიანები.

ჩვენ მოვახერხებთ იმასაც, რომ ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით, მუნიციპალიტეტში მცხოვრები რამდენიმე უკიდურესად გაჭირვებული ოჯახის შვილი უფასოდ მივიღოთ“ - აღნიშნა გარი ჩაფიძემ.

სასწავლებელში, გასაუბრების საფუძველზე, IX და XII კლასდამთავრებულები, ასევე X, XI, XII კლასების მოსწავლეები მიიღებიან. დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ, დაეუფლონ შემდეგ სპეციალობებს: კომპიუტერული ტექნოლოგიები; კომპიუტერული ინჟინერია; დაცვა-პატრულირება; გარემოს დაცვა; კრიმინალისტი; ბანკის ოპერატორი; ფარმაცევტის თანაშემწე; კბილის ტექნიკოსი; სამკურნალო მცენარეების დამამზადებელი; ხილ-ბოსტნეულის პირველადი გადამამუშავებელი; ვეტერინარი; ბაგა-ბაღის აღმზრდელი; კორესპონდენტი; გიდი, ტურიზმი.

აღსანიშნავია, რომ სკოლის მოსწავლეებს სწავლა სკოლის პარალელურად შეეძლებათ.

სწავლა სამწლიანია და გადასახადი წელიწადში 700 ლარია.

სასწავლო პროგრამის გავლის შემდეგ გაიცემა სამენოვანი (ქართულ-უკრაინულ-ინგლისური) დიპლომი.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

595 51 98 12

ეკა შავიძე

მოქანდაკის ნიჭით გაცოცხლებული გმირული ისტორია

„მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა.“ - ბრძანებდა ერის დიდი მამა ილია ჭავჭავაძე.

1988 წელს ხარაგაულში, კულტურისა და დასვენების პარკის შესასვლელში, ჩვენი მიწის მკვიდრი ცნობილი მოქანდაკის, კიმი ტაბატაძის, შინმოუსვლელთა მემორიალი გაიხსნა. მახსოვს, როგორი იყო ის განცდა თითოეული ხარაგაულელისა, როცა მემორიალს საბურველი შემოაცალეს და ჩვენ წინ აღიმართა დიდებული ოსტატის ღვთიური ნიჭით შესრულებული იშვიათი ძეგლი ჩვენი ტკივილიანი ახლო წარსულისა და იმ მომენტიდან ეს ადგილი იქცა დიდი პატრიოტული დატვირთვის, სამშობლოსათვის მსხვერპლად შეწირულ სიცოცხლეთა ხსოვნის უკვდავყოფის ადგილად... მალე აფხაზეთის ძმათამკვლელი ომის ქარიშხალმაც დაგვსეტყვა და კიდევ უფრო გაიზარდა მათი რიცხვი, რომელთა ხსოვნაც შეერწყა ამ მემორიალში ავტორი მოქანდაკის მარადიულ ჩანაფიქრს და, რომელიც სევდიანად წარმოგვათქმევინებს უკვდავი შოთას სიტყვებს:

„ჩვენ უფრო გვტკივის იგი,
ვინ დაგვაკლდა სწორად თავისა.“

* * *

კარგი მშობელი რომ შვილის უპირველესი მეგზურია და კარგი შვილიც მამის ნათელ საქმეთა გამგრძელებელი, ამაში ყველა დამეთანხმება. სწორედ ასეა აწ განსვენებული ცნობილი ხელოვანის კიმი ტაბატაძისა და მისი ღირსეული მემკვიდრის, მხატვარ-მოქანდაკე პროფესორ დავით ტაბატაძის შემთხვევაში. ამასთან დაკავშირებით ერთ პატარა ამბავს გიამბობთ:

გასულ წელს, სამცხე-ჯავახეთში სტუმრობისას, ჩემმა ახლობელმა მასპინძელმა მითხრა: - მინდა, სიურპრიზი მოგიწყო და ძალიან ნასიამოვნები გაგისტუმრო ხარაგაულში, ასპინძაში ერთი კარგი რამ უნდა გაჩვენო. რასაკვირველია, დავეთანხმე...

ჩემი მასპინძლისაგან ეს სიურპრიზი აღმოჩნდა „ასპინძის ბრძოლის“ მემორიალი, რომლის ავტორია მხატვარი - მოქანდაკე დავით ტაბატაძე - კიმი ტაბატაძის ვაჟი.

ვუყურებდი მოქანდაკის ნიჭით გაცოცხლებული ქართველი ხალხის გმირული ისტორიის ხელოვნების ენაზე ამეტყველებულ ამ საოცრებას და გაოცებასთან ერთად სირცხვილის გრძნობასაც განვიცდიდი, რომ აქამდე არ ვიცოდი აღნიშნული მემორიალის შესახებ (მემორიალი 2017 წლის აგვისტოში

ასპინძის ბრძოლის მემორიალი

გაიხსნა).

ჩემო ხარაგაულელებო!

ჩემი თხოვნაა, თუ სამცხე-ჯავახეთში მოხვდებით, გვერდი არ აუაროთ ასპინძის ცენტრში აღმართულ ამ მემორიალს და აუცილებლად დაგეპატრონებათ სიამაყის გრძნობა, რომ თქვენც ხარაგაულელი ხართ, რომ ხელოვნების ამ უმშვენიერეს ძეგლს ქმნიდა შენი კარის მეზობელი, სოფელ ვანის მკვიდრი, ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის პროფესორი, მხატვარი-მოქანდაკე დავით კიმის ძე ტაბატაძე...

მე კი ასპინძაში იმ წუთებში სხვა ვერაფერი მოვახერხე და მღელვარებით ჩავაბულბულე სტრიქონები ლადო ასათიანის ლექსიდან „ასპინძა.“

„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის
დედა ჩურჩულობს,
თუ როგორ გავუმასპინძლდით,
როგორ გავრეკეთ ურჯულო...“

* * *

ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ეპიზოდია 1770 წლის 20 აპრილის ასპინძის ბრძოლა.

ისტორიის კურსიდან ვიცით, რომ რუსეთ - ოსმალეთის 1768 – 1774 წლების ომის დროს, საქართველოში შემოსულ რუსთა საექსპედიციო რაზმს, რომელსაც ამიერკავკასიის ფრონტზე ოსმალოთა ძალების ნაწილი უნდა მიეზიდა, ერეკლე მეორემ შესთავაზა რუს -ქართველთა ერთობლივი ძალით ახალციხეზე გალაშქრება. პატრიოტი მეფის უმთავრესი მიზანი იყო ოსმალოთა ბატონობისაგან მესხეთის გათავისუფლება. გვაგონდება გენერალ ტოტლებენის ღალატი, მისი მოულოდნელი უკან გაბრუნება, შემდეგ კი სახიფათო სიტუაციებთან, ერეკლე მეფის დიდი სტრატეგიული ნიჭის წყალობით, გონივრული საომარი გეგმის დაპირისპირება და ის დიდი გამარჯვება, რომელიც ოქროს ასოებით აღიბეჭდა ჩვენს ისტორიაში.

* * *

და აი, XXI საუკუნის მეორე ათწლეულში ასპინძის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობიდან წამოვიდა ინიციატივა ასპინძის ბრძოლის მემორიალის შექმნისა. საინტერესოა ასპინძის მუნიციპალიტეტის იმჟამინდელი გამგებლის, ლევან ცაბაძის, სიტყვები:

-„ეს ბრძოლა იყო უმნიშვნელოვანესი საქართველოს ისტორიაში, რომელმაც ჩვენი ბედის ჩარხი წაღმა დაატრიალა. ვინაიდან ასპინძაში მოხდა ეს ყველაფერი, გადაწყვიტეთ, მემორიალი სწორედ აქ აღგვემართა.“

და ეს მეტად საპასუხისმგებლო მისია ნიჭიერ მხატვარ - მოქანდაკე დავით ტაბატაძეს მიანდეს.

-რასაკვირველია, დიდი პატივი იყო ჩემთვის ასპინძის ხელისუფალთა არჩევანი. სამუშაო იყო ძალზე რთული, მოითხოვდა ენერგიის მობილიზებას, ამ მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებული ყოველი ნიუანსის გათვალისწინებას...

და იმატა უძილო ღამეებმა, ფიქრმა იმის შესახებ, თუ როგორ მიიღებდნენ სრულყოფილ ნამუშევარს, როგორ მოიწონებდნენ მას.

უფლის შემწეობით, ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის დიდი თანადგომით შევძელი, რომ დათქმულ ვადაში - 2017 წლის 5 აგვისტოს, მესხური ფოლკლორის ფესტივალზე - გახსნილიყო მემორიალი „ასპინძის ბრძოლა“ - განაცხადა ჩვენთან საუბრისას პროფესორმა დავით ტაბატაძემ.

* * *

აღნიშნულ წერილს არ აქვს პრეტენზია, სრულყოფილად წარმოადგინოს დავით ტაბატაძის შემოქმედებითი სივრცე. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სამების საკათედრო ტაძრის ეზოში სვეტებს ამშვენებს მის მიერ შესრულებული რელიეფები, არის ორი პერსონალური გამოფენის ავტორი, ემზადება მესამე გამოფენისათვის და აქვს საინტერესო სამომავლო გეგმები. ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის გალერეაში კი დამთვალიერებელს დიდ სიამოვნებას განაცდევინებს: მამა - ხელოვანის, კიმი ტაბატაძის, ქანდაკებები: „იმერელი მეტყევე,“ „გუთნისდედა,“ „ენგურჰესის მშენებლები,“ „დედაშვილობა,“ „მეფუტკრე,“ „მემკვიდრე;“ ბარელიეფი „ბექა ოპიზარი“ და შვილი-ხელოვანის, დავით ტაბატაძის, გრაფიკული ნამუშევრები: „მარელისის წისქვილი,“ „მგელი“ და ღრმაშინაარსიანი კომპოზიციები.

* * *

და რაც ყველაზე მეტად გამოხატავს პიროვნების ამქვეყნიურ მისიას, ესაა დავით ტაბატაძის თბილი, ტკბილი და უმშვენიერესი ოჯახი. მისი მეუღლე, წარმოშობით ხარაგაულელი, თამარ კიკნაძე (აწ განსვენებული ღირსეული ხარაგაულელების ჯემალ კიკნაძისა და ცისანა ბოგვერაძის ასული) ცნობილი ენდოკრინოლოგია დედაქალაქის ერთ-ერთ წამყვან კლინიკა „იმედი-L-ში.“

მახარებს, რომ თამარი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა კეთილი თვისებებითა და შრომისმოყვარეობით, როცა ის ჩემი აღსაზრდელი იყო ხარაგაულის N1 საბავშვო ბაღში.

როცა თამარ კიკნაძე ერთი საგნის წარმატებული ჩაბარებით ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, მის ახლობელთა დიდ სიხარულს მეც შევუერთდი.

დავითი და თამარი ორი კარგი შვილის აღმზრდელები არიან: ლაშა არქიტექტურის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია, ხოლო მარიამი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტი. ოჯახის დიდი სიხარულია შვილიშვილი - ლევან ტაბატაძე.

ჯანმრთელობას, გამრავლებას, გაძლიერებას, წინსვლასა და წარმატებას ვუსურვებთ დავით ტაბატაძისა და თამარ კიკნაძის ულამაზეს ოჯახს. დაე, უფალმა უწინამძღვროს მათი სამომავლო ყოფის თითოეულ დღეს!

მერი გიორგიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 25 ტყეკაფი გამოიყო

რამდენიმე ხანია, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს იმერეთის სატყეო სამსახურის ხარაგაულის სატყეო უბნის უფროსის მოვალეობას სოსო ფოფხაძე ასრულებს. სოსო ფოფხაძე 2007 – 2011 წლებში საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში სატყეო სამეურნეო ფაკულტეტზე სწავლობდა. 2011 წელს, ხარაგაულის სატყეო უბნის ტყის მცველად მუშაობის პერიოდში, შეთავსებით დასაქმებული იყო ტყეთმოწყობაზე. 2016 წელს კი ამავე უბნის უფროსი გახლდათ. 2017 წლიდან 2019 წლის 19 აგვისტომდე იმერეთის სატყეო სამსახურის მეტყევის თანამდებობას იკავებდა.

მოგეხსენებათ, დღესდღეობით ერთ-ერთ აქტუალურ თემად საქართველოში ხე-ტყეზე ხელმიუწვდომლობაა. მოქალაქეს უწევს გარკვეული პროცედურების გავლა, რათა მოიპოვოს როგორც სამასალე, ასევე საშეშე მერქანი. შეძლებს თუ არა ხარაგაულის მოსახლეობა ზამთრისათვის შეშის მომარაგებას და კონკრეტულად რომელ უბნებშია ტყეკაფები გამოყოფილი, ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ხარაგაულის სატყეო უბნის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი სოსო ფოფხაძე გვესაუბრება.

-მიმდინარე წელს ტყეკაფები მოლითის, ბორითის, ვარძიისა და რიკოთ-ხევის ტერიტორიაზეა გამოყოფილი, რომლით სარგებლობაც უკვე შესაძლებელია. პიროვნება, საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად, უკავშირდება ხარაგაულის სატყეო უბნის თანამშრომელს, ტყის მცველს, რომელიც აძლევს ტყეკაფის კოდს. ამის შემდეგ ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში, ამ კოდის მეშვეობით გადაიხდის საფასურს. ბანკში აღებული ქვითრის საფუძველზე მეტყევე გაუწერს ხე - ტყის წარმოშობის დოკუმენტს და ამის შემდეგაა შესაძლებელი საშეშე მერქნის გატანა. რაც შეეხება ღირებულებას, იგი უცვლელია, ერთი კუბმეტრი რცხილისა და წიფლის ღირებულება ექვსი ლარია, ხოლო მურყანის ფასი ხუთ ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ მაღალმთიან ზონაში მცხოვრებ ოჯახს შეუძლია, ისარგებლოს 15 კუბმეტრი საშეშე მერქნით, სხვა ზონებზე კი 7-ით.

- რა პროცედურებია საჭირო სამასალე ხე-ტყის მოპოვებისათვის?

-მოქმედი კანონმდებლობით, სამასალე ხე-ტყის შეძენა შესაძლებელია აუქციონის წესით. წიფლის პირველი ხარისხის სამასალე ხე-ტყის მარაგი გვაქვს და აუქციონზე პირველი ლოტი მალე გავა. ტყიდან ჩამოსატანია 1000 კუბმეტრამდე, რომელიც უნდა განაწილდეს პატარ-პატარა ლოტებად, რათა ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობისათვის.

- სატყეო სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით, როგორც ცნობილია, 2020 წლიდან რიგი სიახლეები იგეგმება. რას გვეტყვით ამის შესახებ?

-2020 წლიდან ნებისმიერ მოქალაქეს სატყეო მოამარაგებს. საშეშე და სამასალე მერქანს ჩვენ დავამზადებთ და მოსახლეობას შეძენა უფრო ნაკლებ ფასად შეეძლება. ასევე შესაძლებელი იქნება სახლში მიტანის სერვისით ისარგებლონ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისადაც, შესაძლებელი იქნება საშეშე მერქნის მოპოვება. ამ ეტაპზე ხარაგაულის სატყეო უბანზე რვა მეტყევეა, რომლებიც მზად არიან მოსახლეობას ნებისმიერ პრობლემურ საკითხზე გვერდით დაუდგნენ. მათი საკონტაქტო ინფორმაციაა:

მოლითი - მერაბ ტალახაძე - 595-600-434;
ბორითი - პაპუნა ჭიპაშვილი - 595-003-064;
ვარძია - კახაბერ ხიჯაკაძე - 599-898-847;
ხევი - გიორგი რიკაძე - 595-000-683;
ნუგზარ გელაშვილი - 595-000-696;
წიფა - ერასტი ღამბაშიძე - 595-000-362;
საქასრია - ზვიად ლომიძე - 555-330-942;
ზვარე - მურმან ფერაძე - 593-475-940.

თამარ მაღრაძე

საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და სკოლის თანამშრომლებს ხელფასები გაეზრდებათ

საჯარო სკოლის პედაგოგებს, დირექტორებს, ადმინისტრაციას, ტექნიკურ პერსონალსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების თანამშრომლებს ანაზღაურება გაეზრდებათ. ყველა პედაგოგს, რომელსაც აქვს სტატუსი და მინიმუმ 15 საგაკვეთილო საათი, ანაზღაურება გაეზრდება 150 ლარით:

უფროსი მასწავლებლები მიიღებენ - 1011 ლარს;

წამყვანი მასწავლებლები - 1435 ლარს;

მენტორი მასწავლებლები - 1745 ლარს.

(მეტი საგაკვეთილო საათის შემთხვევაში, კიდევ მეტს)

ხოლო პედაგოგებს, რომლებსაც 15 საგაკვეთილო საათზე ნაკლები ექნებათ, საშუალოდ 100 ლარით გაეზრდებათ ანაზღაურება.

საჯარო სკოლის დირექტორების, ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალის, მათ შორის, სკოლის ექიმისა და ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტების სახელფასო ანაზღაურება კი საშუალოდ 20%-ის ფარგლებში მოხდება.

გაზრდილ ანაზღაურებას მიიღებენ სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურსცენტრების თანამშრომლები: რესურსცენტრის უფროსის ხელფასი 250 ლარით გაიზრდება და 1 450 ლარით განისაზღვრება. რაც შეეხება თანამშრომლებს: მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ხელფასი 200 ლარით მოიმატებს და 1000 ლარი გახდება. მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ხელფასი 150 ლარით გაიზრდება და 950 ლარი იქნება. 150 ლარით მოემატება ანაზღაურება პირველი კატეგორიის უმცროს სპეციალისტს და მისი თანამდებობრივი სარგო 850 ლარი გახდება.

ხარაგაულში „მასწავლებლის საერთაშორისო დღე“ აღინიშნა

დასაწყისი ▶ გვ 1.

საუკეთესო მასწავლებელთა სიაში მოხვდნენ:
მაყვალა სულიაური-დაბის N 2 საჯარო სკოლა;
ნინო ბუაჩიძე - დაბის N3 საჯარო სკოლა;
ლემა ბერაძე-წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზია;
მადონა ბარბაქაძე-ღორეშის საჯარო სკოლა;
ქეთინო ლურსმანაშვილი- ვაშლევის საჯარო სკოლა;
მანანა ჯიქურიძე - ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა;
ხათუნა მაღრაძე-ლეღვნის საჯარო სკოლა;
ნათია ტაბატაძე- წყალაფორეთის საჯარო სკოლა;
ხათუნა ციცვიძე- სარგვეშის საჯარო სკოლა;
ლილი მანჯავიძე- ვახანის საჯარო სკოლა;
უჩა კოჩაძე- ვარძიის საჯარო სკოლა;
ნაზიბროლა სებისკვერაძე - უბისის საჯარო სკოლა;
ანა ჭყოიძე-მარელისის საჯარო სკოლა;
ვეფხვია ლომიძე- ხუნევის საჯარო სკოლა;
დოდო ხაჩიძე-ნადაბურის საჯარო სკოლა;
ეთერ პაპავა -ხიდრის საჯარო სკოლა;
ნანა ლომიძე -მოლითის საჯარო სკოლა;
ელისო არჯევანიძე- კიცხის საჯარო სკოლა;
ეკატერინე ბარბაქაძე-ბორითის საჯარო სკოლა;
უსუპი ხაჩიძე -ხევის საჯარო სკოლა;
სოფიკო ჩიტაძე-ზვარის საჯარო სკოლა;
ეთერ ლომსაძე- ლაშის საჯარო სკოლა;
ფიქრია ტალახაძე-ბაზალეთის საჯარო სკოლა;
გიგა ბერაძე- ბორის საჯარო სკოლა;
ნინო ჩხეიძე- წიფის საჯარო სკოლა;
მაია მესხიშვილი- საღანძილის საჯარო სკოლა.

იქნებ სწორედ მაშინ შთაგაგონა უფალმა...

(ცეზარ ბუბულაშვილის მარადიულ ხსოვნას)

ჩვენო ცეზარ!

28 სექტემბერს უკანასკნელად „მოინახულე“ შენი კაცურკაცობისა და ნაღდი ქართველობის მარადიული ხატება - ხარაგაულის მაცხოვრის შობისა და თორმეტი მოციქულის სახელობის ტაძარი...

ამ დღეს მადლიერმა საზოგადოებამ დაგილოცა გზა მარადისობისაკენ.

მკრეხელობაში ნურვინ ჩამითვლის და, როცა ტაძარში შენს მდუმარე სახეს დავყურებდი, „დიდოსტატის მარჯვენის“ ის ეპიზოდი მომაგონდა, როცა სვეტიცხოვლის კურთხევისას საკაცით შეიყვანეს ტაძარში კონსტანტინე არსაკიძე... მან თვალი მოავლო ტაძარს, ცრემლი დაიძრა მის თვალთაგან, მაგრამ დაიოკა მღელვარება და ჩუმად ჩაიბუტბუტა:

„იქმენინ ნათელი!“

და მომეჩვენა, რომ სასწაულმა გაგახსნევინა დადუმებული ბაგე და თითქოს ჩამესმა შენი ღუღუნა ხმით წარმოთქმული: „იქმენინ ნათელი!“

ვაგლახ, ეს ხომ მხოლოდ აუხდენელ სურვილთან შერწყმული ემოციური წარმოსახვა იყო...

ვაგლახ, რომ შენს ყოფილ მასწავლებელსა და შენი კლასის დამრიგებელს უხდება ამჯერად უკვე შენს აჩრდილთან საუბარი...

* * *

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ვარძიის სკოლაში გამოვცხადდი პედაგოგის საგზურით და პირველი გაკვეთილი სწორედ იმ კლასში ჩავატარე, რომელშიც შენ სწავლობდი. რა დამავიწყებს ცოდნის წყურვილით ანთებულ შენს სახეს, შენს ბრიალა თვალებს... შემდეგ კი, როგორც კლასის ხელმძღვანელმა, შენი მშობლებიც ახლოს გავიცანი.

წელთა სრბოლამ ვერ წაშალა ჩემს მეხსიერებაში ხსოვნა მშვენიერი ქალბატონის, ნათელა სირდაძე - ბუბულაშვილისა, რომლის დედობრივი ძალისხმევით მუდამ მოწესრიგებული, მოსწავლის ფორმით, გახამებულ-დაუთოებული თეთრი ქათქათა პერანგითა და ალისფერი ყელსახვევით ცხადდებოდი სკოლაში, ყოველი გაკვეთილისათვის მზადმყოფი.

ქალბატონი ნათელა დედობის ეტალონად დარჩა ჩემს მეხსიერებაში. სრული ჭეშმარიტებით ვაღიარებ, რომ პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობა, რაც ესოდენ ძლიერი იყო შენს პიროვნებაში, უპირველესად, წუთისოფლიდან ადრე წასული იმ სათნო ქალბატონის დამსახურებაა. სამწუხაროდ, მან ორმოცდარვა წლის ასაკში დატოვა სამზეო და სათაყვანო სამი შვილი...

ჩემო ცეზარ!

ბევრჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რადგან სიმბოლური დატვირთვით აღვიქვამ ამ ფაქტს... მაშინ, გასული საუკუნის 60-იან წლებში, ბევრად დაშორებული ვიყავით ეკლესიასა და ქრისტიანულ რწმენას. დამრიგებლებს სპეციალური საკითხები გვქონდა ჩანიკწიკებული კლასის ხელმძღვანელის სამუშაო გეგმაში მოსწავლეთა ათეისტური აღზრდის მიზნით, შენ კი ვარძიის დედაღვთისას ეკლესიის ისტორია და მასთან დაკავშირებული თქმულებები აირჩიე მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციისათვის და გამარჯვებაც მოიპოვე. ვინ იცის, იქნებ სწორედ მაშინ გიწინამძღვრა და შთაგაგონა უფალმა, რომ შენი ორგანიზებით ხარაგაულელთათვის სულიერი სიმშვიდისა და უფალთან მიახლოების უწმინდესი კერა - მაცხოვრის შობისა და თორმეტი მოციქულის სახელობის ტაძარი - დაგეტოვებინა სამარადჟამოდ...

* * *

გავიდა წლები, დავაჟკაცდი, ერთობ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მოგიწია მუშაობამ. არასდროს ღალატობდი შენი ცხოვრების უმთავრეს გზას - სიმართლესა და სამართლიანობას. უშიშრად და შეუპოვრად მიემართებოდი აღმართებიანი და ძნელადსავალი სივრცეებისაკენ. ამას, ვინ უფრო სწორად განსჯიდა, არც შენთვის და არც სხვა ბევრისთვის არ იყო მნიშვნელოვანი, შენს სიმართლეს უფალი განსჯის და დრო შეაფასებს...

თანამოაზრე მეუღლესთან, ქალბატონ ნანა მირუაშვილთან, ერთად შექმენი გამორჩეული ოჯახი. სამ შვილს ერთმანეთის, შრომისა და მოყვასის სიყვარულს ასწავლიდი. თქვენეული აღზრდის შედეგს საფიცარი ქალიშვილის, ლელა ბუბულაშვილის, პიროვნებაში ვხედავთ. ლელასთან, როგორც ერთგულ თანამშრომელთან, გვაკავშირებდა მეტი სიახლოვე. განა მარტო მამა? თქვენ მისი ერთგული მეგობარი, საიმედო მრჩეველი, მისი ფიქრებისა და სამომავლო გზების ორიენტირი იყავით...

თავს ევლებოდი შვილიშვილებს - ბარბარე და იოანე ბუბულაშვილებს, დემეტრე და ელენე ვეფხვაძეებს... გინდოდა, მათთვის ფრთები გაგემაგრებინა, რომ შემდეგ იოლად გამკლავებოდნენ ცხოვრებაში შემხვედრ პრობლემებს, თუმც ჯანმრთელობამ არ მოგცა თქვენი ენერგიის ბოლომდე გახარჯვის შესაძლებლობა...

შვებას გრძნობდი, როცა ღვთის სახლი ფინანსების, სამშენებლო მასალისა და მუშახელის მეშვეობით ზეციისაკენ მაღლა-მაღლა მიიწევდა; გახარებდა ადგილობრივ ხელისუფალთა, წარმოება-დაწესებულებების მუშაკთა და მათ ხელმძღვანელთა აქტიური ჩართულობა; დარწმუნებული იყავი, რომ ხალხის ძალა შეუძლებელს შეძლებდა და ასეც მოხდა...

როგორ ოცნებობდი, რომ ტაძართან დაკავშირებული ყოველგვარი სამუშაო პირნათლად დაგესრულებინა, მაგრამ, ვაი, რომ ჯანმრთელობამ ამ ოცნების განხორციელებაშიც შეგიშალა ხელი.

გწამდეს, ამიერიდან ყველა სანთელი, რაც ხარაგაულის მაცხოვრის შობისა და თორმეტი მოციქულის ტაძარში დაინთება, იმ გზას გაანათებს და გააკაშკაშებს, რომელსაც მზიანეთიდან ადრე წასული კარგი ქართველი ვაჟკაცის - ცეზარ ბუბულაშვილის - ღირსეულად განვლილი გზა ჰქვია. მშობლიურ ვარძიაში კი შენს მარადიულ სავანეს დედაღვთისას ტაძრის სხივები გაათბობს მარადიულად.

გზა მშვიდობისა მართალთა შორის განსასვენებლად და უკვდავებაში დასაბინადრებლად!

ამინ!

გაზეთ „ახალი ხარაგაულის“
სარედაქციო კოლეგიის სახელით -
მერი გიორგიძე

ხარაგაულში საბალეტო სტუდიამ დაიწყო ფუნქციონირება

ხარაგაულის მერის, ნიკოლოზ თოფურიძის, დაპირება საბალეტო სტუდიის გახსნასთან დაკავშირებით, რეალობად იქცა.

ხარაგაულის ისტორიაში პირველად მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვები და მოზარდები პლასტიკურ ხელოვნებას დაეუფლებიან.

საბალეტო სტუდიაში მეცადინეობები კვირაში 3-ჯერ სამ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდება. ჯგუფები ასე გადანაწილდება: 4-დან 6 წლამდე, 7-დან 12 წლამდე და 12 წლიდან ზემოთ ნებისმიერ მსურველთათვის.

საბალეტო ხელოვნებისა და ასევე, სამეჯლისო ცეკვების გაკვეთილებს ხარაგაულის კულტურის ცენტრთან არსებულ საბალეტო სტუდიაში, თბილისიდან სპეციალურად მოწვეული პედაგოგ-ქორეოგრაფი, ინგა თოფლიშვილი ჩაატარებს.

მსურველებს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ კულტურისა და ხელოვნების ცენტრს.

ტელ: 577 60 -74 -64;

გოლათუბანში გზის რეაბილიტაცია იწყება

მაღალმთიან სოფელ გოლათუბანში, სხვერისა და სადგურის უბნებში, გზების რეაბილიტაცია განხორციელდება. გამოვლინდა ტენდერში გამარჯვებული კომპანია (შპს „საპოვნელა„), რომელიც აღნიშნულ სამუშაოებს შეასრულებს. საერთო ჯამში ბეტონის საფარი 1 700 მეტრზე მოეწყობა. პროექტი მთის განვითარების ფონდიდან 245 100 ლარით დაფინანსდა.

გოლათუბანში ამ მონაკვეთზე ბეტონის საფარი არასდროს ყოფილა, რაც ადგილობრივებს გადაადგილების პრობლემას უქმნიდა.

აღსანიშნავია, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება აქტიურ ფაზაშია და მიმდინარე წელს ამ მიმართულებით ხუთ მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.

ხარაგაულში, მდინარე ძირულაზე, გაბიონი ეწყობა

ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდინარე ძირულაზე, სტიქიის პრევენციის მიზნით, გაბიონი ეწყობა.

სოფელ ციხისძირისა და ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალის დამაკავშირებელი სამანქანო ხიდის მიმდებარედ, ადიდებული მდინარე ხშირად ქმნიდა პრობლემებს და საფრთხეს უქმნიდა, როგორც ავტომობილების, ასევე მოქალაქეების გადაადგილებას. საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოებს შპს „მათე“ ასრულებს.

პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან 88 398 ლარით დაფინანსდა.

გარდა აღნიშნულისა, ხარაგაულში სტიქიის პრევენციის მიზნით კიდევ ექვს ლოკაციაზე განხორციელდება საყრდენი კედლების მოწყობა.

ევროპის სპორტის კვირეულს ხარაგაულიც შეუერთდა

ხარაგაულში ევროპის სპორტული კვირეულის ფარგლებში მარათონი ჩატარდა. გარბენი ე.წ. ,,დევების “ მიმდებარე ტერიტორიიდან სპორტულ დარბაზამდე გაიმართა. პირველი ადგილი მარელისის საჯარო სკოლის მოსწავლე ლუკა ცხვედაძემ დაიკავა, მეორე ადგილზე მარელისში მცხოვრები გიორგი მეგრელიშვილი გავიდა, ხოლო მესამე ადგილი ლეღვნის საჯარო სკოლის მოსწავლე, გივი მაზიაშვილმა აიღო.

გამარჯვებულები წამახალისებელი სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

ევროპის სპორტული კვირეულის ორგანიზატორი და მხარდამჭერია ხარაგაულის მერიის კულტურის სამსახური და ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი.“

კვირეულის ფარგლებში ხარაგაულში ასევე ჩატარდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება.

შეგახსენებთ, რომ ევროპის სპორტის კვირეული, ევროკომისიის ორგანიზებით, 2015 წლიდან ყოველწლიურად ტარდება და ხელს უწყობს სპორტული და ფიზიკური აქტივობის პოპულარიზაციას ევროპის მასშტაბით.

ეკა შავიძე

საბავშვო ბაღის აღმზრდელები სერტიფიცირებას გაივლიან

საბავშვო ბაღების აღმზრდელები სერტიფიცირებას გაივლიან. პროცესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2020 წლის მაისიდან დაიწყება. რეფორმას განათლების სამინისტრო განახორციელებს.

ამ ეტაპზე საბავშვო ბაღებში საგანმანათლებლო პროცესი განათლების სამინისტროსა და იუნისეფის მიერ შემუშავებული აღზრდის მეთოდით ხორციელდება, რაც ფიზიკურთან ერთად სასკოლოდ მოზარდების ინტელექტუალურ მომზადებასაც ითვალისწინებს.

2024 წლამდე აღმზრდელებმა უნდა მიიღონ აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსი. აღმზრდელს შეუძლია, ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი ნებისმიერი სპეციალობით, 4 წლის მუშაობის სტაჟი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, ასევე – პროფესიული სასწავლებლის სერტიფიკატი.

აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსს მიიღებენ იმ შემთხვევაში, თუ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შემუშავებულ ტრენინგ-მოდულს გაივლიან და მიიღებენ სერტიფიკატს. 2024 წლის პირველი სექტემბრიდან მუშაობას ისინი გააგრძელებენ, ვისაც აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსი ექნება. ხოლო ვისაც 2024 წლის შემდეგ მოისურვებს ბაღში მუშაობას, უნდა ჰქონდეს შესაბამისი განათლება.

ეკა შავიძე

2020 წლიდან პენსიები იზრდება

2020 წლის პირველი იანვრიდან ასაკობრივი პენსია 220 ლარი გახდება, ხოლო პირველი ივლისიდან 70 წელს ზევით პენსიონერები 250 ლარს მიიღებენ. მომავალი წლის ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია 18 წლამდე ასაკისა და პირველი და მეორე ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის პენსიის ზრდა.

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ განაცხადა, ხელფასების ზრდა ასევე იგეგმება მასწავლებლებისთვის, საბავშვო ბაღების აღმზრდელებისთვის, სამართალდამცავებისათვის, ჯარისკაცებისთვის, ექიმებისთვის და ა.შ.

„სრულ განაკვეთზე მყოფი მასწავლებლების ანაზღაურება იზრდება როგორც მიმდინარე, ისე მომავალი სასწავლო წლის განმავლობაში, რაც ნიშნავს, რომ 2020 წლის სასწავლო წლისთვის მასწავლებლების ხელფასი გაიზრდება 300 ლარით. ასევე გაიზრდება საბავშვო ბაღების მასწავლებლების ხელფასები და სოფლის ექიმების - საშუალოდ 100 ლარით. გარდა ამისა, გაგრძელდება ხელფასების მატება სამართალდამცავების, ჯარისკაცებისა და მათთან გათანაბრებული პირებისათვის და, სახელმწიფო თავისი ვალდებულებების ფარგლებში, ამ ჯგუფს ხელფასს გაუზრდის მინიმუმ 125 ლარით. ხაზგასმით აღვნიშნავ იმ სოციალურ ჯგუფებს, რომლებზეც დგას ჩვენი ქვეყნის განვითარება და მომავალი, ეს გახლავთ ბავშვები, პენსიონერები, მასწავლებლები, სამართალდამცავები და ჯარისკაცები და, რა თქმა უნდა, ექიმები,“ - განმარტა გიორგი გახარიამ.

ეკა შავიძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12